კვირა, 19 ივლისი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

ორი დამპყრობი.



სიყვარული.

მოაგარაკის დღიურიდან.

ბევრ ძველ ანდაზას დროის შესაფერი გადაკეთება სჭირია: მაგალითად, ანდაზას—„კაცი ბჭობდა—ღმერთი იცინოდაო“—მე ასე გადავაკეთებდი:

— ქმარი ბჭობდა, ცოლი იცინოდაო.

არ ვიცი, შეიძლება ღმერთი (დაილოცა მისი განგება!), ცოლებს თავის იარაღათ ირჩევს, რათა ქმრები დასაჯოს ცოდვათათვის და, ამისდაგვარათ, ცოლების მარჯვენას თვით ძალი ღვთიური მართავდეს ჩვენ დასათრგუნათ;

თუ ასეა, უფალო, მე მრწამს ძალი შენი და აღვიარებ, რომელ შენ ხოლო ყოვლის შემძლებელ ხარ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ ძალნი შენნი სავსებით გამოჰკრთიან მოქმედებათაგან ცოლთა ჩვენთა...

—

ჩემი ცოლი. ბიჭიკო, იცი—მე რა აზრისა ვარ?

ამისი ქმარი, ე. ი. მე. (გულში) უპირველეს ყოვლისა უმორჩილესათ გთხოვ—„ბიჭიკოს“ ნუ მეძახი: აბა სადაური ბიჭიკო ვარ 50 წლის ბერიკაცი, 7 შვილის მამა 48 წლის დედაკაცის ქმარი! (ხმა მაღალ) არ ვიცი, გენაცვა!

ის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი აზრი შენც მოგეწონება.

მე. (გულში) შენი აზრი! ჰა-ჰა-ჰა! აზრი და შენ! შენს მდოგვის ოდენა ტვინში განა რა აზრი უნდა დაეტიოს? (ხმა მაღალ) რასაკვირველია, ჩემო კარგო! აბა მითხარი შენი აზრი!

ის. (კისერზე ხელს მომსვეგს და ცრუ ალერსით) ისევ წაღვერში წავიდეთ მეთქი სააგარაკოთ!

მე. (გულში, ბრაზ-მორეულმა) ერთი რომ—ეს სამიწე ხელი მოაშორე ჩემს კისერს, მეორე—ღმერთმა აგირიოს გზა კვალი ისე, როგორც შენ მე ამირიე! (ხმა მაღალ. წელზე ხელს მოვხვევ, ანალალადვეი ალერსით) რათა, მეგობარო? აკი ბახმაროზე წასვლა გადავწყვიტეთ გუშინ! *)

ის. (კისერზე ხელს მომაშორებს. საშაარ კიდოთა) ის გუშინ იყო, ეს კი დღეს არის.

მე. (ფრთხილათ, გაუბედავათ) ცხენებიც ნაქირავებია... თუმანი ბეთ მივეცი... ხვალ დილით უნდა წავსულიყავით...

ის. (ერთი ოკტავით ხმა მაღალ) შენ უნამუსოვ! ჩემს ჯანმრთელობას თუმანი გირჩევნია?..

მე. როგორ თუ შენ ჯანმრთელობას? განა ბახმაროზე შენს ჯანმრთელობას საფრთხე მოელის? რაღა დღეს გწყინს ბახმაროს ჰავა? გუშინ შენ თითონ არ...

ის. (მაწყვეტინებს) შენისთანა ქმარიც ქმარია რაღა! არც კი იცი, შე უწყალოვ, რომ მე გულის სიმსუქნე მაქვს და მაღალი ადგილი ჩემთვის საშიშია!

მე. (გულში) ჯერ—გული შენ სადა გაქვს, შე აშარო, და მერე—გულის სიმსუქნეს შენთან რა უნდა, რომ დაბადებიდანვე ჩხირივით გამხმარი ხარ! (ხმა მაღალ) თუ ასეა...

ის. ესეც არ იყოს, ბახმაროზე შენისთანა გიჟის მეტი წრეულს ვინ წავა? სასიკვდილოთ გასწირე ცოლშვილი, განა?

მე. (გაკვირვებით) როგორ თუ სასიკვდილოთ?

ის. ვითომ არ იცი, რომ თავდასხმას აპირებენ..

მე. ვინა?

ის. რაქველები!

მე. (გაშტერებული) ვინა?

ის. „ვინა?“ ვინა და რაქველები!

მე. აი, დალახვროს ღმერთმა! ქალო, ვინ რაქველებია?

ის. ვინ რაქველებია და ის მოღალატე რააქველებია, შენ რომ ისე გიყვარს, და ფულებსაც კი აგროვებ მათ სასარგებლოთ!

მე. (მაგხვდება და სიცილს ვერ ვიკავებ). ჰა-ჰა-ჰა! „რაქველები“! ჰა-ჰა-ჰა! რაქველები კი არა, აჭარლები! ჰა-ჰა-ჰა!

ის. (გაბრაზებული) რას ხარხარებ გიჟივით! დიდი საქმეა შენმა თავის მტვრევამ, თუ აჭარლების მაგიერ რაქველები ვთქვი! თითქოს სულ ერთი არ იყოს! ომის დაწყებამდე თუ რაქველებს ეძახდენ, სრული ნება მაქვს ეხლაც რაქველები დავუძახო...

ერთი სიტყვით, როგორც მკითხველი ჰხედავს, ჩემმა ცოლმა ისეთი საბუთები დამილაგა ბახმაროს წინააღმდეგ, რომ თანხმობა განვაცხადე და მეც წაღვერში წასვლა გადავწყვიტე.

აბა ხუმრობა ხომ არ არის გულის სიმსუქნე და მუხანათ რაქველების თავდასხმა.

—

სადგურ №-ის ბუფეტში ვზივარ.

მთელი ტანით პარკებში, ჩემოდნებში, სხვა და სხვა ზომის ფუთებში და კალათებში ვარ ჩაფლული და მხოლოდ თავი მომიჩანს ბარგს ზევით.

*) მოქმედება გურიაში სწარმოებს.

ვგრძნობ, რომ უმწეო და სულელური სახის გამომეტყველება მაქვს ამ წუთში; ალბათ ძალიან ვგავარ ჩინელ მანდარინის კარიკატურულ ფიგურას.

ქალების საპირფარეშოდან მესმის ჩემი უმცროსი ქალის ტირილი, ჩემი ცოლის ქაქანი და დანარჩენ მემკვიდრეების განუწყვეტელი ჟრიამული.

რული მეკიდება.

არსად არ ვიცქირები, მაგრამ მაინც ვხედავ დახლის ფიცარზე დადებულ ჰოლანდიურ ყველს, შემწვარ წიწილს, რომელსაც მხოლოდ ცალი ბარკალი აქვს, ბუზებით დაფარულ ჭერის კანდელს, და მსხვილ ასოებიან პლაკატებს:

— Генрихъ Юлій Цимерманъ.

— Блокъ и К°.

— Еженедѣльный журналъ „Нива“ და სხვ.

თითქოს დროისა და სივრცის გარეშე ვიმყოფებოდე—არც არაფერზე ვფიქრობ, არც ვგრძნობ რასმე. მგონი, აი, ასე ბარგებში ჩაფლული გავჩნდი ქვეყანაზე და ამგვარადვე უნდა ვიყო მუდამ...

ჰოლანდიური ყველი იზრდება, იზრდება და იცინის, კედლებზე პლაკატები ცეკვას იწყებენ და ერთმანერთში ირევიან, ვიღაც ჩემს ახლო, ზედ ჩემ ყურთან, ხვრინავს, ჩემი პარკები და ჩემოდნები ირხევიან და წყნარათ ჩურჩულებენ, ერთი კალათის დასაკეტი რკინის წკეპლი კოპყურიდან გამოსხლტება, ყირაზე დგება, ჩემკენ დაიხრება და ყურში ჩამძახის:

— ბიჭიკო, ბიჭიკო!..

უეცრივ შევხვდები, თვალებს ვიფშვნეტ და აქეთ-იქით ვიცქირები. რკინის წკეპლის მაგიერ ჩემი მეუღლე დამდგომია თავს.

— ბიჭიკო, დაგეძინა? სადღაც პირამიდონი მქონდა შენახული... თავი ისე მტკივა—ლამის გამისკდეს... მომინახე გეთაყვა!

ძლივს ვინთავისუფლებ ტანს ბარგი-ბარხანისაგან, ვდგები და ვცდილობ მოვისაზრო, სად უნდა ივოს შენახული პირამიდონი. ჩემი ცოლის თვისებაა—ყველაფერს თავად ჩააწყობს ხოლმე და შემდეგ არაფერი ახსოვს—სად რა შეინახა. თუ ვერ ვიპოვე, მევე მიწყრება, თუმცა ხელიც არაფრისთვის მიხლია და, მაშასადამე, არც არაფერ შუაში ვარ.

— ეგრე ძილი გაგონილა? ჯერ ერთი, რომ ყველაფერს მოგპარავენ... მერე—შენი თავის ამბავი განა არ იცი? ის-ლა გვაკლია, გაცივდე და ლოგინათ ჩავარდე!.. ვაი, თავი, თავი, თავი!..

ეტყობა, ამ წუთში არ თვალთმაქცობს და მართლაც ძალიან სტკივა თავი. რაც შეეხება ჩემ გაცივებას, სულ ტყუილათ მოიმიზეზა. რა დროს გაცივებაა ამ პაპანაქება სიცხეში, როცა ჰაერი ტყვიასავით მძიმე და უძრავია და მე კიდევ კისრამდე პარკებში ვირ ჩაჭედილი.

ნახევარ საათის გაფაციცებულ ძებნის შემდეგ, როგორც იყო, ვიპოვე პირამიდონი. 2 საათი შეასრულდა. მატარებლის მოსვლამდე $5^{1}/_{2}$ საათია. 4 საათია ვიცდით და კიდევ $5^{1}/_{2}$ საათს უნდა ვეყაროთ აქ! ყველაფერი კი ჩემი მეუღლის ბრალია: შუა გზიდან დააბრუნა ეტლი—პუდრიანი ყუთი და ოდეკოლონი დარჩენოდა. პირველ მატარებელს ველარ მოვუსწარით, ეხლა მეორეს უნდა ვუცადოთ და მთელი ღამე ვაგონის დახუთულ ჰაერში ვიხარშოთ...

რა მოვიფიქრო ისეთი, რომ კიდევ არ ჩამეძინოს? ჯიბეში „Закавк. Рѣчь“-ის გუშინდელი № მაქვს, მოდი, წავიკითხო!

ის იყო გავშალე გაზეთი და კითხვას შევუდექი, რომ გამახსენდა „სახ. ფურცლის“ გუშინდელი მეთაურის სიტყვები: ქართველი მკითხველი ბევრათ მოგებული იქნება, თუ იმ ფულით, რასაც ჟარგონის პრესაში ხარჯავს, საწამლავს ან სპირტიან სასმელებს იყიდის და დალევსო.

ეს სიტყვები რომ მომაგონდა, წამსვე გამოვფიზლდი. ფეხაკრეფით მივიპარე საპირფარეშოსთან და კლიტის ჭურჭუტანაში შევიხედე: ჩემი ცოლი სავარძელში მიწოლილიყო თვალებ დახუჭული: მგონი სთვლემდა. სავარძლის უკან ჩემი 14 წლის ვაჟი იდგა, ენა გამოეგდო და საშინლათ ემანჭებოდა მძინარე დედას.

— მადლობა ღმერთს. ყველაფერი რიგზეა, გავიფიქრე მე და ზიზღით გადვისროლე დაჭმუჭნული ჟარგონის გაზეთი. შემდეგ საჩქაროთ გავედი სადგურიდან და თვალის დახამხამებამდე მახლობელ დუქანში გავჩნდი! 15—20 წუთის შემდეგ ჩემს სუფრაზე ორი დაცლილი ლიმონადის ბოთლი იდგა (რადგან ღვინო აკრძალულია, ლამონადის ბოთლებით მოაქვთ ხოლმე სუფრაზე) და მესამეც ნახევრათ დაცლილი. ისეთ საუცხოვო გუნებაზე დავდექი, რომ გულწრფელათ ვლოცავდი „სახ. ფურცლის“ ნიჭიერ მეთაურის ავტორს და სულით და გულით ვწყევლიდი გამათახსირებელ ჟარგონის პრესას...

სადგურში რომ დავბრუნდი, უპირველეს ყოვლისა ნივთების თვლას შევუდექი; ცხრამდე რამდენიმეჯერ დავთვალე, მერე კი ყოვლად შეუძლე-

ბელი გახდა გაგრძობა, თუმცა ცდაც და ენერგიაც არ დამიკლია. გულანათ გამეცინა, ჩავაქნიე ხელი და გაბედულათ შევაღე ქალების ოთახის კარი.

შევედი შიგ და ვიხილე სასწაული. ჭეშმარიტად სასწაული ვიხილე: 7 შვილის მაგიერ ბარე ხუთმეტი დამიხვდა.

— საკვირველი არიან საქმენი შენნი უფალო? ნუ თუ რაღაც ერთი საათის განმავლობაში ჩემმა ცოლმა ესოდენ გაამრავლა ჩვენი შთამომავლობა! ბარაქალა, ბარაქალა!

თვალების ფშვნეტით მივ-ხედე მეუღლისაკენ და... თქვენ მტერს, მე რომ ელდა მეცა: ერთის მაგიერ ორი მეუღლე იდგა ჩემ წინ!

ორივე ცოლი გაოცებული თვალებით მიყურებდა და ბავშვებიც რაღაც სხვანაირათ მომჩერებოდენ.

მხოლოდ ეხლა მივხვდი, რა მდგომარეობაშიც ვიყავი, ნათლათ ვიგრძენი მეთაურის გავლენა, მაგრამ გვიან-და იყო.

— მამა, მ.მა! პაპა მთვრალია!

წამოიძახა ჩემმა სასიქადულო ვაჟმა რიურიკმა; რიურიკს კლეოპატრა აჰყვა, კლეოპატრას დულცინეა, ლეილა და მთელი ოთახი, კედლები, ჭერი და იატაკი ახმაურდა და აყვირდა:

— პაპა მთვრალია, პაპა მთვრალია, პაპა მთვრალია!

— შვილებო, დაგვტოვეთ მე და პაპა, გადით ამ ოთახიდან... მე გამოვაფხიზლებ მას!

მოისმა მშვიდი, მაგრამ საზარელი ხმა ჩემი ცოლისა.

ისეთი კილოთ იყო ნათქვამი ეს სიტყვები, რომ ჩემი შთამომავლობა ხმა ამოუღებლივ მოტრიალდა ერთი კაცივით და გავიდა ოთახიდან.

ოთახი დაიკეტა ..

მე დარწმუნებული ვარ, არამზადა რიურიკი ჭურჭუტანაში იცქირებოდა და დაწვრილებით დაინახა, როგორ გამომაფხიზლა ჩემმა ცოლმა...

—

ორ საათს შემდეგ ბილეთის კასასთან ვიდექი სრულად ფხიზელი, მაგრამ სახსრებ დარღვეული და თვალ-ახვეული.

— მიბოძეთ 10 ბილეთი წაღვერამდე: 7— სრული 3 საბავშვო..

ახ, ღმერთო ჩემო, რათ დავუჯერე „სახალხოს“ მეთაურს?

მაგრამ—ჩემი ბრალია! ჯერ საწამლავი უნდა მეშინჯა და არა ღვინო!

თაგუნა.

პატარა პოლინკა.

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა,
იყო ხელმწიფე სვიანი...
(ხელობის მიუხედავათ,
კაცი ბრძენი და ჭკვიანი).
სამი ასული ებადა,
სამი მზე (მზეთუნახავი)
სამი პირბადრი მთოვარე,
სამი ციური ვარსკვლავი.
ცხოვრობდა ტკბილათ, უშიშრათ,
მეფე სამ ასულოვანი,
თვითონ ხნიერი, შვილები
ნორჩი და მცირეწლოვანი.

—

მაგრამ ვის შერჩეს სიკეთე
ბედისგან მინანიჭები??
იქვე მახლობლად ცხოვრობდენ
სამი მდევკაცის ბიჭები:
ახმახნი, გულშემზარავნი,
ფარ-შუბით აღჭურვილები
(სამ-სამი ციდა უჩანდა
თითოს პირიდან კბილები!)
მიუხდენ. მოკლეს ხელმწიფე,
და დაიტაცეს ქალები...
(უჰ, გაქრეს მათი სინსილა,
უხეში, ბნელი ძალები!!!)
ააწიოკეს ყოველი
ხელმწიფეს რაც კი ებადა
და წაიყვანეს ასულნი
ცოლად კი არა,—ყმებადა!
პოლინკა ერგო დათუნას,
ყველაზე მეტად მახინჯსა...
ჩაგდო საფარეშოში
არ ადგმიებდა ნაბიჯსა...
სტუქსავდა, სცემდა საბრალოს,
თმებით ათრევდა ხშირადა,
მიჰყავდა, შეუბრალებელს,
ცოცხლივ სამარის პირადა.

სტიროდა ქალი ობოლი,
ცრემლით ალბობდა მიდამოს

მაგრამ სად თქმულა: ჯალათმა
ტანჯვა და ცრემლი იწამოს?
  დღითი დღე მუხრუჭს უჭერდა,
და სჩხვლეტდა საჩეჩლითა,
დაღებს ასვამდა სხეულზე
მხურვალე შანთით, მწველითა.

—

კვლავ შეიცვალა დროება.
დათუნას მტერი დაეცა.
ქალი მოსტაცა და მასთან
დღეც დააყენა მწარეცა.
  გონს რო მოვიდა დათუნა
მოჰკრიბა მყისვე შვილები
(პოლინკას ტანჯვა-თრევაში
ნაწრთობი, გამოცდილები).
  და მძიმე თათბირს შეუდგა
ბრიყვი უხეში ძალისა:
— როგორ მოაწყოს ცხოვრება
განატაკები ქალისა.
  წითელი კაბა დაჰპირდა,
ქოშები ოქროსმკერდისა
თავისუფალი ცხოვრება,
ენა მშობელი დედისა.
  დაჰპირდა ბაღი ედემის,
შიგ წყარო, კოშკი ბროლისა,
ია და ვარდი სურნელი,
ძირს ნოხი მწვანე მოლისა.
  ვინ იცის რა არ აღუთქვა
რა ხარჯი მან არ გაბედა:
მაგრამ რათ უნდა პოლინკას
„გარჩიცა ბოსლე აბედა?!)

ეშმაკი.



ჰაეროპლანით მოგზაურობა.

(უმაგუდო ტელეგრაფით გადმოცემული მოხსენება).

(დასასრული)

და აი, როგორც შენი მამაცურ შტაბის ერთი წევრთაგანი, გაწვდი მოხსენებას პირველი დღის შესახებ.

იმის მოლოდინე, რომ შენ მიერ ახლათ დანიშნულ „მათრახის კუდის“ ერთ-ერთ ხარისხს მაინც დავიმსახურებ (სირცხვილია ამ ჟამათ უჯილდოთ სიარული, ყველას გულზე აკერია) მე ვიწყებ ჩემ „საგმირო საქმეთა“ აღნუსხვას.

გამზადილ-შეკაზმულ ჰაეროპლანს მოვაჯექი. ჩემი „შე-ვარდენი“ თვალის დახამხამებაზე ცივს სივრცეში მიიმალა. ცოტა არ იყოს გული შემიცანცალდა, მაგრამ დედამიწაზე სიარულს ისევ იქ ყოფნა ვამჯობინე. მსწრაფლ ვშორდებოდი ვეება ქალაქებს, სოფლებს, შენობებს, ტყე-მინდორ-ველებს, რომელთაც ოდნავ ვარჩევდი და ყოველივე ეს მაღლიდან მოსჩანდა „პირველყოფილ ხაოსათ“ ნაქნარი. აქა-იქ ვისვენებდი, ძირს დავეშვებოდი ან და საყუდარს ვპოულობდი ვეებერთელა შენობების ვეება ბუხრებზე, რომელნიც ერთ დროს შშვენიერსა და მათრობელსა რამ სასმელსა ამზადებდენ, ხოლო ამ ჟამათ უმოქმედოთ მდგომარე. ხილულთა უნახაობა იქ იყო ჩემთვის უზრუნველყოფილი. შუა დღეს გადაშორდა, ჩვენის პოეტების მიერ „შეზარებულ“ დღის გუშაგი-მნათობი შეწუხებული დღისა სიცხადით დასამალავათ მიილტვოდა და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ქონდა ოდეს ღამის წყვდიადი ჩამოეშვებოდა წყეულ დედამიწას.

როდესაც მცირეოდენათ შევსცილდი ერთი სახელმწიფოს საზღვარს თვალ-წინ საუცხოვო სურათი გადამეშალა: ხელოვნურათ, ეშმაკურათ განათებული ცა, ზარბაზნების გრიალი, თოფების სროლა, საშინელი კივილი, მწარე ყვირილი და საოცარი მოთქმა მომესმა. გავშეშდი, ფრენას ვუკელი.... რამოდენიმეთ ძირს დავეშვი. საკვირველი რამ იყო: გახელებულნი, ეგრეთ წოდებული „მიწის შვილნი“,

ყველა ერთნაირი, მოძმენი ერთმანეთს დარეოდენ და მუსრს ავლებდენ. განცვირფებით გული წამივიდა. თავი ვიმაგრე. გავძამაცდი. ერთგვარი ფორმის მიწის შვილნი სულ აქეთ მორბოდენ, საიდანაც მე მოვფრინდი, ხოლო მათ უკან ღრიან-

ცელით მოსდევდენ მბრწყინვალე თავიანი შეიარაღებულები. ერთმანეთს ხოცდენ: ტყვიით, იარაღით, კბილებით, ფრჩხილებით და რითაც შეიძლებოდა. შემეცინა, სიხარულს მივეცი თავი, რომ „იმავ მიწისთვის იბრძვიან, რომელსაც დღეს თუ ხვალ თვითვე შვეერთდებიან“. „რა არის მათი სიცოცხლე, თუ არ საწყაული აღუვსებელი“-მეთქი გავიფიქრე გულში.

ამ ვეება გაცოფებულ ჯარის უკან იდგენ უიარაღონი, რომელთაც ჯიბეში, უბეში, კალთაში რაღაც ნივთები მიქონდათ და ქურდულათ სადღაც გზავნიდენ.

მაპატივე, მაგრამ ამ პირველათ ვერაფერი ვერ გავიგე, ახლოს ვერ დავუკვირდი; თუმცა ვსცადე ძირს ჩამოშვება, მაგრამ კინალამ მსხვერპლი გავხთი საკუთარი ცნობისმოყვარეობისა. ოდეს ჩემ გვერდით ცა დაინგრა, იგრიალა რაღაც ბურთის მაგვარმა ვეება მასალამ, ჩემი „შე-ვარდენი“ იმგვარათ შეფხუკიანდა, რომ იძულებული გავხთი მსწრაფლ მომეკურცხლა განვლილ გზისაკენ საყუდარის საშოვნელათ. გზა-გზათ წითელი ღელეები, ტბები და მდინარეები მხთებოდა; ახირებულ მხარეს ვესტუმრე: წყალს ფერი ქონდა. როგორც შემდეგ გავიგე ეს ყოფილა ომი, და თუ მეტს ვერას გწერ ამ „წითელი სიცილის“ შესახებ, ბრალი გამოუცთელლობაა ჩემი; შემდგომათ უფრო ყოჩაღათ ვიქნები.

გამოვეშურე რა აქეთ, მოვუახლოვდი სახელ. შეცვლილ ქალაქს და ზევიდან შევეძიე მიწყნარებული, უადამიანო, უსიცოცხლო და ოხრათ მიტოვებული შენობები, რომელნიც, როგორც ზევით ვსთქვი, უწინ მშვენიერსა სასმელსა ხთიდა ხოლმე. მსურდა იქ დამესვენა, ბინა მეშოვნა, რადგან ვიცოდი, რომ იქ არავინ არ მომაკვლევდა. ამოვიღე მიხანში ამგვარი უზარმაზარი შენობა და ძირს დავეშვი. საოცარი ამბავი შემეყარა: შორიდან მაღალ ბუხრათ მოჩენებული მილი შუშის აზნექილი ჭერი გამოდგა და ზედ ამ შუშის ჭერზე მოვადინე ხეთქა. ცოტა შეეფიქრიანდი; არაყის ქარხანას რამდენიმეთ არ ჩამოგავდა, თუმცა განსხვავებაც დიდი არ იყო. მაგრამ მან გამაცვიფრა, რომ ყარაულები იდგა ყველა გამოსასვლელთან. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა. შუშის ჭერიდან დაბლა ჩავიჰვრიტე: ერთ უზარმაზარ დარბაზში მხოლოდ საჯდომი სკამები იყო ჩამწკრივებული. ზედ ათასგვარი ქალალდები ეწყო. სრული სიწყნარე. მდუმარება. ხოლო აქა-იქ ჭერში, კედლებზე ნიშნები იყო იმისა, რომ ერთ დროს, ალბათ, უაზრო, უთავბოლო ლაყბობისაგან მათ ზიანი მიყენებოდა. სიცოცლის ნასახი არა სჩანდა, ხოლო აქა იქ დაწყევლილი იმერული ვირთხები დაძვრებოდენ და იქ დასაყადებულ წიგნებს შეექცეოდენ, რომელსაც როგორც გავარჩიე „კანონ-პროეკტები“ ეწერა სათაურათ.

საშინლათ მომესურვა შიგ გაძრომა, მაგრამ უნდა გამოგიტყდე ვირთხები ჭირივით მეზარებიან. ჩვენებური ოაგუნები რომ ყოფილიყო, იცოცხლე, მე იქ ჩავძვრებოდი, მაგრამ ვირთხებმა შემაფიქრიანა. გადავსწყვიტე შემდეგისთვის შემენახა თავი, ძალა და მივატოვე ამ საკვირველ შენობას თავ და ნაცნობ ადგილს მივესადგურე.

დედამიწას ოდნავ შებნელება დაეტყო. თუმცა შავ ღამეს ვერ შევესწარი.

თუ დღე და ღამე აქ გავარჩიე—შეეცდები კვლავ ავფრინდე და შესაფერი მოხსენება მოგაწვდინო, მბძანებელო, ნახულ-გაგონილის შესახებ ამ ჟამათ ეს იკმარე.

დიდი სურვილი მაქვს მაქეთ გადმოფრენის, ვიცი საზვერავი მასალა მაქაც ბევრია, მაგრამ გულს ეშინია, მაქ, როგორც ამაში ქებურიას ფრენამ დამარწმუნა, სხვა ჰაერია, ქვევიდან ასულ „მახრჩობელ გაზებისაგან“ შეზავებული. მე გული სუსტი მაქვს, ვიკრძალვი კისერი ვიღრძო. თანაც მაქაური დიდ ქალაქის სახელი შიშსა მგვრის: თუ რუსულათ ვიტყვით ტიფ-ლისი იქნება, მე კი ტიფს ვეარიდები. თუ ძლიერ გავრცელებულია – და ქართულათ კი თფილისი ეწოდება, ვიცი მისი წარმოშობის ისტორია: ოდეს ვახტანგი (ახლანდელი არ გეგონოთ) სანადიროთ გავიდა მიმინო დაეხრჩვა იქ მდებარე ტბის ადუღებულ წყალში, სადაც ახლა თფილისი მდებარეობს. და ვაი თუ მეც ჩავარდე და დავიღუპო. ტბაში თუ არა ტალახში ხომ მაინც და .მე კი ჯერ-ჯერობით სიცოცხლე არ მომბეზრებია, სიცოცხლე ტკბილია, საამო. ნურას უკაცრავათ თუ დაჯსაქმებლათ მაქეთ არ გიახლოთ, თუნდაც ზეცაში მომიწიოს მოგზაურობა... .. მაქ შეჩეულებმა, დეე, თვით იმოქმედონ!

თქვენი მორჩილი, შტაბის წევრი ეშმაკუნა

სერ-ჯორჯი.



მამა გიორგი.

(ფოთი).

სამხედრო ტაძრის სულიერ მოძღვარს,
ღვთის მადიდებელს და მლოცველს ერის,
სამწყოსა შინა და მრევლსა ზედა
ღვაწლი მიუძღვის მას „მრავალ ფერის“.
„სასულიერო“ ჯაფა და შრომა,
იმისი სრულათ რომ აღვიაროთ,
აქ დეკანოზი თოთიბაძე და
საკურთხი თედოც რომ დავიბაროთ
ქურუმსა ამას ვერ შეისწავლის,
ესე ვითარი გამოძიება,
რამეთუ მოძღვარს სჭირს სულიერი
და ზნეობრივიც ცხელებ-ციება.
მე მხოლოდ იმას მოგახსენებდით,
რაც მოვისმინე და თვალით ვნახე,
„ადამის მაცდურს“ რომ დაეგლიჯა
მამა გიორგის „ღვთიური“ სახე.
მას მოაცილეს გრძელი და თეთრი,
საბლაღოჩინო ულვაშ-წვერები;
ნიკაპი ეჩანს ღენერალივით
(ევას ბრჭყალებით „მონაფერები“).
თუმც შერჩენია ყბებზე ცოტ-ცოტა,
სამხედრო წესზე ორსავე მხარეს *)
მარა ხუცებმა რა ნახეს იგი,
თვალებზე ხელი გადაიფარეს.
საბრალო მოძღვრის თავსა და კბილებს
ჯოხითაც უყო ევამ ზიანი;
მოზავეთ იყო ხმოსანი დუტუ,
მარა გამოდგა ის ხელგვიანი,
„სამოთხის ევამ“ მამა გიორგი
სანამ ქუჩაზე არ გააგორა,
თმა და წვერიდან სანამ გასცლიდა,
მანამდე დუტუმც ვერ მოაშორა.
საპოლიციო ნაწილთან მოხთა
„სასულიერო“ ესე რა სცენა,
სახტად დარჩენილ დარაჯებს თურმე
და ბოქაულსაც (მოგეცათ ლხენა)
სიცილით სულიც გადაჰქმეოდა,
ხელის შეხებაც ვერ გაებედა,
თუმცა მოძღვარმა სუყველას ერთად
აგინა თურმე ცოლი და დედა.
მკითხველი ალბათ იფიქრებს ეხლა,
„სამხვთოა“ რამე მიზეზი ამის:
„ან დრამა ფული კი იქნებოდა,
ან მადა კიდევ საკურთხის ჭამის“.
მარა შეცდებით. მამა გიორგიმ
მეუღლის სული რა განუტევა
(ვით ადამის ტომს ქვრივსა და ოხერს)
„შემოეპარა მაცდური ევა“.
ღვდელს აკრძალული ხილი აჭამა,
აუხილა რა ცოდვილი თვალი,
მათ განიცადეს ხორცთა სიშიშვლე
და უკუღმართი საწუთროს ვალი,
ღვდელმა ურჩია თვის მაცდურ ევას:
„სოფელში წადი, გამეცალეო,
ზაფხულში იქ სჯობს მე კი მარტოკა
ღმერთის ვედრება დამაცალეო“.
ევას ეგონა: მამა გიორგი
ჩემზე ირჯება წმინდის გულითო.
უთხრა: „კი წავალ თუ გამისტუმრებ
ზაფხულს საყოფი ხარჯის ფულითო“.
აღსრულდა მოძღვრის გულის წადილი:
ევა ჰკავიდა საგარაკოთ
და შემდეგ გაჩნდა ახალი ევა,
საქმეც გახადა სალაპარაკოთ.
თურმე მოძღვარმა თავის სახლიდან
ევა პირველი რომ მოიშორა,
შინ მოიყვანა მეორე ევა
და „სულის“ საქმეც გამოისწორა.
აგი შეიტყო ევამ პირველმა,
დრო შეურჩია, მივიდა ღამით.
„მოძღვარ-მოწაფეს“ „უფლის ვედრება“
არ დააცალა არც ერთი წამით.
ჯოხ მომართული პირველი ევა
მისმა კურთხევამ რომ დაინახა
ძირს დაუვარდა მას კურთხევანი,
თმებიც აუდგა, გაუშრა ხახა,
მარა მომხდურმა „ალალ მლოცველებს“
ამდენი ფიქრიც აღარ აცალა,
თავში და პირში ქვაი და ჯოხი,
ხელში რაც ჰქონდა სულ დააცალა.
შექნა ყვირილი, მოცვივდა ხალხი,
წაასხეს ყველა პოლიციაში.
თავ გახეთქილი ორი ეწერა
საბრალდებულო ოქმის სიაში.
იქ ბოქაულიც ბევრი აცინა,
მამა გიორგიმ ღადად ჰყო რაცა
და ევამ კიდევ განმეორებით
იქვე წვერებში ხელები სტაცა,

*) ალბათ იმიტომ, ამ მოძღვარს ეხლა „ვაინი ცერკვი“ რომ ჩააბარეს.

რომ დაითრია „ხილკოვის“ ქუჩით
ამის მოწმეა დუტუ და სხვები,
რომ პანტა-პუნტათ გაჰქონდა ნიავს
მოძღვარის წვერი და თეთრი თმები.

ბუტუნა.

უკაცრობა და ჩემი გასაჭირი.

(აღსარება)

უკაცრობამ და კაცის გვალვამ ერთი თანამდებობა მარგუნა წილად— მიმიწვიეს ერთი ქართული გაზეთის მახლობელ თანამშრომლად. ჩამაბარეს ერთი განყოფილება „პროვინციის ცხოვრება“. ზოგჯერ მე თვით მიმიწოდებია რედაქციისათვის პროვინციიდან საგაზეთო მასალა და ამიტომ ჩემი თანამდებობის ასრულება ძნელი არ მეგონა, მაგრამ ადრე დავრწმუნდი, რომ დაუძლეველ საქმეს წავეპოტინე.

ასეა! უკოლოს ყველა ცოლიანი ბედნიერი გონია, მაგრამ როცა „სჯულიერი“ ცოლისაგან უსჯულო დღეები მოხვდება, მხოლოდ მერე მიხვდება რა ბედნიერება ყოფილა მისთვის უცოლობა.

შევუდექი საქმეს. რედაქციის სახელზე მოწერილი წერილი მე უნდა გამეხსნა, წამეკითხა და ამომერჩია საკბილო. თქვენ ეგ საქმე ადვილი გეგონებათ, მაგრამ აბა ერთი სცადეთ და დღეში გადაათვალიერეთ სხვა და სხვა ხელით ნაწერი სხვა და სხვა სქესის, სხვა და სხვა აზრის, სხვა და სხვა წოდების, სხვა და ტვინის ნაწარმოები 50—60 წერილი.

ყველა წერილს თან ახლავს კიდევ სარედაქციო წერილი, რომლითაც პატივცემულნი ავტორები იწერებიან:

„ბ-ნო რედაქტორო, (უფრო ხშირათ ბატონო რედაქციავ!) გიგზავნით ამასთანავე წერილს, არ იფიქროთ, მარტო ჩემის დავალებით, არა მე ამას მავალებს მთელი საზოგადოება, რომელიც კორესპონდენციის მხრით ძალიან ჩამორჩენილია და მინდა მე ეს ნაკლი შევამსო. მართალია ნაჩქარევათ ვწერ მაგრამ ფაქტი ნამდვილია, მარა რადგან ნაჩქარევათ ნაწერია კორექტურა უსათუოდ იქნება შით და გაძლევთ ნებას გაასწოროთ. სხვაფერ კი უკლებლივ დაიბეჭდოს მაშინათვე, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი ფსევდონიმი იქნება: ხვარამზეს ნათლული, ელპიტის დანიშნული, უშიშარი, შეუპოვარი, დევნილი, დასჯილი, მედგარი, რისხვა, დარაჯი, სიმართლის მოყვარული, ელისაბედიშვილი და სხვა.

შეუდგები ახლა წერილების კითხვას. ყველა წერილი თითქმის ერთი შაბლონით იწყება:

„ამ უმაგალითო ომმა, ამ საშინელმა სისხლის ღვრამ, ამ ჯერ არვისგან არ გაგონილმა ძმათა ჟლეტამ, ყოველ კუთხით ზარბაზნების გრიალმა, თოფების ტკაცა-ტკუცმა, ყველაფერს თავისი საშინელი დაღი დაასვა. ამ უმაგალითო ომისა და ამ საშინელი ზარბაზნების ღრიალმა და ამ არავისგან გაგონილმა და ამ არავისგან ნახულმა და ამ არავისგან ჯერ არ მოსწრებულმა ბრძოლამ თავისი გადუშლელი დაღი დაასვა ჩვენს უბანსაც და ამ ყოვლად დაუნდობელმა ვაინამ არ დატოვა თავის მკაცრი ბრჭყალების გაუკრავი არც ჩვენი სოფელი და სხ.

კიდევ კარგი, თქვენი ჭირი წაუღია, სხვა წერილებსაც თუ კი სხვა წერილებიც სხვა და სხვა შინაარსის მაინც იქნება, მაგრამ ჩემი უბედურებაც იმაში იყო, რომ წერილების უმეტესობა ერთი და იგივე შინაარსის არის, მხოლოდ სხვა და სხვა ავტორს ეკუთვნის. მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი გარემოება: ერთ დღეს მივიღე ერთი შემთხვევის შესახებ სხვა და სხვა პირისაგან ოთხი წერილი. მოისმინეთ თვით წერილების ასლი. წერილი პირველი:

„ამა 1915 წელსა, ამა თვის ესე იგი მაისის 24 დღესა, სოფელ ხრიკიანში მუშაობდენ ყანაში ერთი აზნაური და ერთი გლეხი, რომელსაც წვიმამ უსწრო და მახლობელ თხმელაის ძირში შეიყუდრეს. უცბათ გავარდა მეხი და ერთი აზნაური ბარაქაძე იქვე შეიქნა ტრაღიკული სიკვდილის მსხვერპლი, მეორე კი ძალუანი დაშავებულია და თუ დარჩება არ გვგონია“.

აკაკი ნენეისშვილი.

„ქ-ნო რედაქტორო, გთხოვთ ეს ნამდვილი ამბავი ადრე და უცვლელათ დამიბეჭდოთ—კორექტურა გაასწორეთ სხვას ხელს ნუ ახლებთ.

წერილი მეორე

დრამა ყანაში.

„ჩვენ სოფელში, რომელსაც ხრიოკეთი ქვია 24 ამ წლის მაისს მდინარის პირათ მდებარე ყანაში საშიშარი გულშემზარავი დრამა დატრიალდა. წვიმის დროს ყანაში თავი შეაფარა მუხის ქვეშ სიმინდის მმარგლელმა აზნაურმა ბარაქაძემ და გლეხმა ოფლაძემ, გავარდა მეხი და პირველი მოკლა, მეორეს ენა აქვს ჩავარდნილი. ამ საშიშარი ომის და სისხლის ღვრისა და უმჭადობის დროს, რაღა ეგ დრამა იყო საჭირო, მაგრამ უბედურ კაცს ქვაი ალმართში მიეწევა. საჭიროა ზომების მიღება ვისგანაც ჯერ არს, რათა შემდეგში კიდევ არ განმეორდეს ასეთი გულშემზარავი დრამა.

კაიგრაკხის მეგობარი.

წერილი მესამე.

უვიცობის მსხვერპლი.

ჩვენ ხალხს ბუნების მოვლენის ცოდნა აკლია და თუ ეს ასე არ იყოს ისეთი საშიშარი სურათის მნახველი არ ვიქნებოდით, როგორიც ვნახეთ ამ წლის 24 მაისს დღით ოთხშაბათს. ნაშუადღევის ოთხ საათზე მთელი სოფელი ხრიოკეთი კივილმა, კიოდენ ქალები, შეაწრიალა. გამოირკვა, რომ კივილის მიზეზი ყოფილა მეხი, რომელიც დასცემია ყანაში მომუშავე აზნაურ ბარაქაძეს და მის მეზობელ გლეხს ოფლა-

ალმოსავლეთის ბრძოლის ასპარეზი.



სარტყელი მარცხენა მხრივ (უფრო ფართე) წარმოადგენს ბრძოლის ხაზს 26 აპრილს.

მეორე, მარჯვნივ გაყვანილი ცოტა უფრო წვრილი სარტყელი წარმოადგენს დღევანდელ ბრძოლის ხაზს.

ძეს, რომელთაც არ სცოდნიათ, რომ ჭექა-ქუხილის დროს ხის ქვეშ ყოფნა არ ვარგა, იგინებს კი შეუყუდრებიათ დიდი ნიგვზის ქვეშ. მეხის ერთი მსხვერპლი იქვე ეგდო გაშავებული, მეორეს ხელ-ფეხი აქვს დაკავებული. ოხ ღმერთო ჩემო, როდის ისწავლის ჩვენი ხალხი ჭკუას და როის შეიგნებს, რომ ბუნების მოვლენას მიერიდოს.

ტანჯულის შვილი.

წერილი მეოთხე.

ბუნებაც გაგვირისხდა. (წერილი ხრიოკეთიდან)

იმ დროს, როცა ბრძოლის ველზე ზარბაზნებს გააქვს გრიალი და ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა სისხლიდან იცლება, ამ დროს ადამიანის სისასტიკეს და გაუტანლობას ბუნებაც შეეჯიბრება და ცდილობს სოფელში დარჩენილი ყანის მუშები შეუბრალებლათ დაჟლიტოს. რომ ეს ფაქტია ამისი მაგალითი. 24 მაისს სამშაბათს, ცა მოიღრუბლა, დაუშვა საშინელი წვიმა და მას მოყვა ჰაერში ჭექა-ქუხილი. საწყალმა ყანის მუშებმა მიაშურეს ყანაში მდგარ დიდ კოპიტის ხეს. გავარდნილი მეხი დაეცა კოპიტს და ერთი ქვეშ მყოფი აზ. ბარაქაძე მოკლა ხოლო მეორე გლეხი პოლიკარპე ოფლაძე, საშინლათ დაასახიჩრა. როდის ეღირსება საწყალ კაცს მოსვენება! მის ტანჯვას დასასრული არ აქვს.

ამირანი მიჯაჭვული.

ყველა ითხოვს დაუყოვნებლივ და უცვლელათ დაიბეჭდოს. ცხადია ყველას უნდა მისი ფსევდონიმი გაზეთში ნახოს. ყველას თავისი სარჩული აქვს. ეს დრო მეც გამომიცდია. იქნებ ეს ამირანი სიყვარულის ჯაჭვით არის დაბმული და თავის სატრფოს, ვიდრე წერილს გამოაგზავნიდა კიდეც წაუკითხა. რას იზამ ერთი და იგივე ხუთმა გამოგზავნა, ხუთივე დაგემდურება თუ არ დაბეჭდე. ხუთში ერთს მოიმადლიერებდი მაინც, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ამბავი ხრიკეთიდან ჩამოსულ მგზავრს უკვე უამბია ჩვენი გაზეთის რეპარტიორისათვის და როცა ეს წერილების სერია მივიღეთ, ეს ამბავი უკვე დასტამბული იყო. მოდი შენ ნახე აქ სამშვიდობო გზა... გადის ერთი კვირა და ატყდება საყვედურის წერილების „ბამბანდიროვკა". მიიღებ 4—5 თითქმის ერთ და იგივე შინაარსის წერილს: „ბ-ნო რედაქტორო! მე ამას წინათ გამოგიგზავნე დასაბეჭდათ წერილი იმ საზიზღარი შეუბრალებელი მეხისა, რომელმაც ორი ცოლშვილიანი კაცი იმსხვერპლა. გთხოვთ მიპასუხოთ გაზეთის ფოსტით რისთვის არ სცანით ღირსათ დაბეჭდვისა ჩემი წერილი. რათ მიგდებთ აბუჩათ ბატონო რედაქციავ, თუ მეტ პატივს არ სცემთ თქვენს მკითხველს და თანამშრომელს, მაშინ მე სულ აღარ შეგაწუხებთ, მაგრამ ეგი არ იქნება კაი. გთხოვ დაუყოვნებლივ მიპასუხოთ.

დავშთები პატივისცემით იაგორ ჩიბურდანიძე. (ფსევდონიმი აკაკი ნენისშვილი.

ვაი ჩემს დღეს! არ ვიცი რა ვქნა და რითი ავიშორო თავიდან პროვინციელთა რისხვა.

(დასასრული იქნება).

მგონი მიცნობთ.

კორესპონდენტის ბედი.

(იხ. „ეშმაკის მათრახი" № 10).

VIII.

პეტრე, ნესტორი და მურზაყანი

მურზაყანი. (შემოდის მრისხანედ და პეტრეს მიუახლოვდება) არა, როგორ გაბედეთ თქვენ ჩემი გვარის შეურაცყოფა?

ნესტორი. (გვერდზე) ვაი საწყალო პეტრე ეხლა კი გამოგვივა წირვა.

მურზაყანი. არა, როგორ გაბედეთ თქვენ და შეურაცყოფა მიაყენეთ ჩემს ძმისწულს?

პეტრე. ვის ბატონო, მე არ მესმის!

მურზაყანი. ვის და ჩემს ძმისწულს, კნიაჟნა მარუსიას.

პეტრე. რა გინდათ, ბ. ჩემგან?

მურზაყანი. როგორ თუ რა მინდა, შე მაწანწალავ შენა! არა, როგორ გაბედე შენ ჩემი ძმისწულის გაზეთში ჩაგდება?

პეტრე. არ ჩამიგდია, ბატონო, და არც ვიცი მაგის შესახებ არაფერი.

მურზაყანი. შენ იქნება სოფლის ვიგინდარა გგონია, რომ რაც გინდა ისა სჩმახო და სჯღაბნო კნიაჟნა მარუსიაზე! არა, როგორ გაბედე მეთქი!

პეტრე. მე არაფერი დამიწერია, ბატონო!

მურზაყანი. (ამოიღებს უბიდან გაზეთს და პეტრეს თვალებში მიარტყამს) მაშ ეს ვისი დაწერილია, შე მჯღაბნელო, შენა!

ნესტორი. ბატონო, მურზაყან, თქვენ აღელვებული ბრძანდებით და დაწყნარდით გეთაყვა. ჯერ გაიგეთ დანამდვილებით და თუ მართლა ამ კაცის დაწერილია, მერე დასაჯეთ.

მურზაყანი. მე უკვე ვიცი ყველაფერი დაწვრილებით. პეტრუზა, ეფროსინე, მანუჩარი და ერთი სიტყვით ყველა ამ ვაჟბატონისაგან ყოფილა გალანძღული. მე პეტრუზამ მიამბო ყველაფერი.

პეტრე. ტყუილია ბ. მურზაყან.

მურზაყანი. როგორ თუ ტყუილია! მატყუარა და ცრუ შენა ხარ შე ავაზაკო შენა! (ძალიან აღელვებულია).

ნესტორი. დაწყნარდით, ბატონო მურზაყან.

პეტრე. კიდევაც რომ დამეწეროს კნიაჟნას შესახებ, ვითომ რა არის აქ გასაჯავრებელი. გაზეთში სწერენ ყველა დიდი პირებისა და საქვეყნო ადამიანის შესახებ.

მურზაყანი. (გამხეცებული მივარდება პეტრეს და

უნდა სილა შემოკრას) როგორ თუ საქვეყნო, ვინ არის საქვეყნო! საქვეყნო და გათახსირებული შენა ხარ, შე გახრწნილო შენა'!

ნესტორი. (შუაში ჩავარდება) ბატონო მურზაყან, დაწყნარდით, აბა რა საკადრისია!

მურზაყანი. შუაზედ გავაპობ მაგ არამზადას, მაგას (მიიწევს პეტრეზე).

პეტრე. გახსოვდეთ თქვენ ბ. მურზაყან, რომ ჩემს ბინაზე საცემრათ მომივარდით.

მურზაყანი. (მიიწევს; ნესტორი არ უშვებს) სულ კბილებს დაგამტვრევ შე ვირო შენა. არა, როგორ გაბედე, ვინ არის საქვეყნო, ვინა, სთქვი, თორემ მოვიდა შენი აღსასრული!

პეტრე. (უკან დაიხევს კარებისაკენ) თქვენ პასუხს მოგთხოვთ ამ ავაზაკური თავდასხმისათვის.

მურზაყანი. (ნესტორს ხელსა ჰკრავს და თავს გაიშვებს, ხანჯალს ამოიღებს და გაეკიდება პეტრეს. პეტრე სწრაფად გავარდება გარეთ) რაო, რაო, რა სთქვი! ლუკმა-ლუკმა დაგჩეხავ, შე სალახანავ შენა!

IX

ნესტორი, შემდეგ ეფროსინე.

ნესტორი. ფუ, დასწყევლოს ღმერთმა! რა უნდათ ამ საწყალი პეტრესაგან! წავიდე მივეშველო, თორემ ცუდათაა საქმე. ვეუბნებოდი ხალხს გადაიმტერებ მეთქი, მაგრამ რომ არ დამიჯერა. ნუ თუ ვიღაცა პეტრუზა ვაჟრის და გახრწნილ-გათახსირებულ ეფროსინე მაჭანკლის გულისათვის ამ დღეში უნდა ჩავარდეს. (ქუდს დაიხურავს და მიდის. ამ დროს შემოვარდება ეფროსინე, რომელმაც ნესტორის უკანასკნელი სიტყვები გაიგონა და ძალიან გაჯავრებული მივარდება ნესტორს. ეფროსინეს ნესტორი ჰგონია პეტრე დევნიდაძე).

ეფროსინე. როგორაო, როგორაო, ვინ არის გათახსირებული, შე მაწანწალავ შენა! არა, როგორ გაბედე შენ ჩემი გაზეთში გაწერა! (ეცემა და ქოლგას დაარტყამს, ნესტორი გადაუხტება, ეფროსინე უკან მისდევს და ურტყამს) შე სასიკვდილევ, შე სალახანავ, შენა!

ნესტორი. რა გინდათ ბ. ჩემგან!

ეფროსინე. როგორ თუ რა მინდა! არა, ვის გაუბედე შენ, ვის?

ნესტორი. რა გაუბედე, ადამიანო, გამაგებინე, რაშია საქმე!

ეფროსინე. ეს ვისი დაჯღაბნია, ვისი შე სასიკვდილევ! (გაზეთს ამოიღებს, დაგლეჯს და თვალებში მაყრის).

ნესტორი. დიდება შენთვის ღმერთო! ჩემთან რა გინდათ, მე თქვენ რა გიყავით!

ეფროსინე. რა გიყავიო! ამაზედ მეტი რაღა უნდა მიყო, შე მჯღაბნელო შენა! გისწავლია რაღაცა პრასტი-პრუსტი და ქვეყანა შენი გგონია.

ნესტორი. ბ. რა ნაგიშავეთ, არ მეტყვით!

ეფროსინე. არა, შე ეშმაკის ფეხო, რომ ჩაგიწერია ეფროსინემ სოფელი დაყვლიფაო, არა შენ რა წაგაყვლიფე, შე სასიკვდილევ შენა!

ნესტორი. მე არ დამიწერია, ბატონო.

ეფროსინე. (ფეხის ბრახუნით) გაჩუმდი მეთქი.

ნესტორი. არ დამიწერია.

ეფროსინე. გაჩუმდი, მე პეტრუზამ ყველაფერი მიამბო.

ნესტორი. ტყუილი უთქვამს ბატონო.

ეფროსინე. ხმა, კრინტი არ დასძრა, თორემ ზედ შუაზედ გაგიხეთქავ მაგ ქარაფშუტა თავს. შენ გეგონა უფლის ნათლულთანა გქონდა საქმე, მაგრამ ის კი არ იცი, რომ მე გლავნი ტარტაროზის მონათლული ვარ. ჩემთან ვერაფერს გაჰყიდი. ისე გაგიხდი საქმეს, რომ დაბადებას იწყევლიდე. შენ ალბათ ვერ იცნობ ეფროსინეს.

ნესტორი. ბატონო, ჩემთან რა გინდათ!

ეფროსინე. ხმა გაიკმინდე მეთქი. მე ვიცი ყველაფერი. წავიდე ეხლა ის ხალხი მოვიყვანო, ვინც შენ გააბიაბრუე და მაშინ ერთად გაგვისწორდი ყველას. (ქოლგას ურტყამს) სულ დაგაგლეჯავ წვერ-ულვაშს, თვალებს ამოგწიწკნი, სულს ამოგხდი შე მაწანწალავ, შე მშიერო, გაიძვერავ, რაზბონიკო, შე ლოთო, უსინდისო, მაიმუნო შენა, დამაცადე! (მიდის და კარებში შეჩერდება. ერთს მოუღერს ქოლგას და მიდის) უი, შე სასიკვდილევ შენა!

X

ნესტორი, შემდეგ პეტრე.

ნესტორი. (აღელვებული) ფუი, დაგწყევლოს ღმერთმა, ეს რა ღვთის რისხვა დედაკაცი ყოფილა! არა, როგორ ტახივით დამეტაკა ეგ ქაჯი ეგა. სულ გამოვრეტიანდი კაცი, მთელი დავთრები დამიბნია მაგ შეჩვენებულმა მაგან. საიდან სადაო, პეტრემ დაუწერა და მე ქოლგა გადამამტვრია თავზე. რა ფეხი მომტყდა, რომ მე დღეს აქ მოველი. ალბათ მოასწავლიდა ვინმე რომ ამ სახლში იმყოფება შენი გაზეთში ჩამწერიო და მომვარდა ალქაჯივით. იმან თავისი გული მოიოხა და პეტრეს მაგივრათ კი გამროზგა. საწყალი პეტრე, კიდევ კარგი რომ ამ შეცდომით ეს ქოლგის ტყაპა-ტყუპი მაინც ავაცდინე. წავიდე მივეხმარო იმ საცოდავს, თორემ

გაჰგლეჯენ. ამ კუდიანმა დედაკაცმა რანდენ ხანს გამაჩერა. ვინ იცის აქამდინ რა მოუვიდა საწყალ პეტრეს! (მიდის, კარებში შეეხეჩება პეტრე, ნარბენი, დაღლილობით ძლივს და სუნთქავს).

პეტრე. მიშველე ნესტორ, დამმალე სადმე, თორემ მთელი ჯარი მამდევს უკან. პეტრუზა მოუძღვება წინ. იმ მურზაყანმა ხომ მთელი ბაზარი შემომარბენინა და ბოლოს რის ვაი-ვაგლახით დავემალე. აქეთ რომ მოვდიოდი მანუჩარი შემხვდა, პეტრუზას ელაპარაკებოდა. როგორც დამინახა თუ არა პეტრუზამ მაშინვე უთხრა მანუჩარს: „აი, კნიაზო, ეგ არის რაღა ჩვენი თავის მომჭრელიო“. გამომენთო, მაგრამ რა ნაირად! მერე იმოტელა ჯოხი უჭირავს რომ კამბეჩს წააქცევს. პეტრუზა და მანუჩარი ფეხდაფეხ მომდევდენ. მურზაყანიც გაშმაგებული მეძებს და თუ ისიც მომივარდა კიდევ, ნამდვილათ გამისტუმრებენ საიქიოს.

ნესტორი. რა გიჭირს ძმაო, ერთი მტერი ხომ მოგაშორე.

პეტრე. როგორ, რომელი მტერი?

ნესტორი. შენ რომ მურზაყანი გამოგეკიდა, მეც მაშინვე მინდოდა წამოსვლა, მაგრამ შემომივარდა ის ეფროსინე მაჭანკალი, მოესწავლებიათ შენი ბინა, და მომვარდა. იმას მე ვეგონე კორესპონდენტი და იმდენი მიბრახუნა, რომ სულ ფილტვები ამომაგლიჯა. ქოლგა გადამამტვრია, ძმაო, თავზე ქოლგა. ისე გამთათხა რომ მთელი ოკეანეს წყალიც ვეღარ გამრეცხავს. დამემუქრა, ვინც შენ გალანძღევი გაზეთში, სუყველას მოვიყვანო და მაშინ ერთად გაგვისწორდიო.

პეტრე. (რომელიც გაშტერებული უყურებდა) მაშ შენც დაისაჯე ჩემის გულისთვის! საწყალო ნესტორ. მაშ, როგორც ამბობ, ის წუნკალი ეფროსინეც იმ საერთო რაზმს შეუერთდება და ერთად მოიტანენ იერიშს. შენ კი რას გერჩიან, მაგრამ მე როგორ გადავურჩე! (ისმის პეტრუსას ხმა: პაჟალტე, ვაში სატელსტვო, კნიაზ მანუჩარ, პაჟალტე).

XI

პეტრე, ნესტორი, პეტრუზა და მანუჩარი.

პეტრე. არიქა მოდიან! მე კუშეტკის ქვეშ შევძვრები და აბა შენ იცი, როგორ დიპლომატობას გამოიჩენ. იქნებ ხიფათს გადამარჩინო. (კუშეტკის ქვეშ ძვრება).

პეტრუზა. (კარს შემოაღებს) პაჟალტე, პაჟალტე, ვაში სატელსტვო.

მანუჩარი (ნესტორს) სად არის ის ვაუბატონი, სად? (ჯოხს ურტყამს იატაკზე).

ნესტორი. ვინა გნებავთ, ბ. მანუჩარ?

მანუჩარი ვინა და ის მშიერი პეტრე. არა როგორ გაბედა ჩემი შეურაცყოფა!

პეტრუზა. ეჰ, ტუტუცია, ვაში სატელსტვო, ტუტუცი. იმან რა იცის, ვის რა ეკადრება და რა პატივისცემა უნდა. განა თქვენისთანა ჩესნი კნიაზს აწყენინებს კაცი!

მანუჩარი. მაწყენინა და დამაცადოს! (ჯოხს აბრახუნებს იატაკზე) არა, იმას მე ვინმე სალახანა ხომ არა ვგონივარ, არა, როგორ გამიბედა მე ვიღაც ლაწირაკმა ასეთი თავხედობა!

ნესტორი. რაშია საქმე, ბ. მანუჩარ, ვინ გაწყენიათ?

მანუჩარი. ვინა და იმ ბუნტოვჩიკმა პეტრემ. არა, რა იმისი საქმეა რომ მე ბუასილი მჭირს თუ ქარები არა, როგორ გამიბედა მეთქი!

ნესტორი. ნუ თუ პეტრემ ეგ იკადრა!

პეტრუზა. იკარდა რომელია, კვდარი ვირი რომ ნახოს, ნალებს ააძრობს. ჯიბიდან ფულს ამოგაცლის, ნამდვილი ჯიბგირია, უფლის მადლმა. ძალიან გასაროზგი კი არის აი ქრისტეს მადლმა, არა, როგორ გაგიბედათ გალანძღვა, ვაში სატელსტვო!

მანუჩარი. ოხ, ერთი ჩამივარდებოდეს ხელში, როგორ მოვთელავ, როგორ დავზელავ. მე ვაჩვენებ მაწინ ვინ არის ქარებიანი და ბუასილიანი. (ნესტორს) არა ერთი თქვენ მითხარით, რა მისი საქმეა მე ქარები მაქვს თუ ბუასილი! იქნება მე უარესიცა მჭირს რამე. იქნება თქვენ კიდევ ჩემზედ უარესი გჭირთ.

ნესტორი. ღმერთმა დამიფაროს, კნიაზო, რას მერჩით!

მანუჩარი. არა, მე ისე სიტყვაზე ვამბობ, ხომ მართალია?

პეტრუზა. რაზუმეიტსა რომ მართალია. (მიგა და კუშეტკაზე დაჯდება) ახლა კნიაზ, ჩემზე რა დაუწერია. ჩიხოტკიანიაო, მალარია აქვსო, ცოლი გაქცევას უპირებსო' ერთი სიტყვით, ვაში სატელსტვო, თავი მომჭრა საქვეყნოთ რაღა!

მანუჩარი. ჰა, ეყურეთ მაგ არამზადას მაგას! არა რა მაგისი საქმეა, მე ცოლი გამეყრება თუ შემეყრება. (ჯოხს ურტყამს იატაკზე) სულ კბილები უნდა დაამტვრიო მაგ მაშინაკს მაგას.

პეტრუზა. მართლა, კნიაზ, კბილები გაფუქებული აქვს და მადლს ეზამთ თუ დაუპლომბავთ. (იცინის).

ნესტორი. რათ გეჯავრებათ ასე პეტრე, ბ. პეტრუშ?

პეტრუშა. მაშ არა და ჩავპროშტავ იმისმა თავის გახეთქამ. კაცმა საქვეყნოთ თავი მომჭრა, კარიკატურწკი კარტიჩკაში დამხატა და ამისთანა კაცს კიდევ ლუბოვნიკობა გაუწიო!

მანუჩარი. ვაი, დედი ჩემის ღმერთსა! არა, სად დაიმალა სადა, ის არამზადა.

XII

პეტრე, ნესტორი, პეტრუშა, მანუჩარი და სირანუშა.

სირანუშა. ქა, პეტრუშ, აქა ხარ? მე კი გული გამისქდა და!

პეტრუშა. არა, აქ რა მოგარბეინებდა! (მანუჩარს აცნობს ცოლს) კნიაზ ჩესტ იმეიუ პაზნაკომიტ. ენტა მოი ნასტაიაშჩი ზაკონი ჟენა.

მანუჩარი. დიდათ სასიამოვნოა. (ხელს ართმევს) უკაცრავათ ცოტა აღელვებული ვარ.

სირანუშა. რათა, კნიაზ, ვინ გაგაჯავრათ?

მანუჩარი. ვინა და იმ უსინდისო პეტრემ.

სირან. უი, დამიდგეს თვალები! ნეუჟელი თქვენც აბიდა გაჭამათ? თქვენ რაღა დაგიწერათ, კნიაზ?

მანუჩ. თავი მომჭრა მაგ სალახანამ მაგან. ეს ქარები აქვსო, ეს ბუასილიო, ოჰ, მე ვაჩვენებ იმას სეირს!

სირან. (გაიკვირვებს) ქა, უი მომიკვდეს თავი, უყურეთ იმ მასხარას ეს რა უქნია! ქა, ეს ბუასილი რაღა დასაწერი იყო!

მანუჩ. (მიუახლოვდება სირანუშას და ჩახველებით) არა, ქალბატონო თქვენ მართალი კი არ გეგონოთ. სტყუის ის შარლატანი ისა. პირიქით მე ეხლა გავუმაწვილდი და იმედია თქვენც...

სირან. (პეტრუშას) ქა უყურებ ამ საკალბასეს როგორ მეარშიყება!

პეტრუშა. (ჩუმათ ცოლს) ხმა გაიკმინდე. (მანუჩარს) ვა, კნიაზ ძალიან უდივიტელნი რამეა აი უფლის მადლმა. არა სად დაიკარგა ის ინდაურების მამასახლისი ისა. მე დავინახე კნიაზ რომ პრამათ სახლში წამოვიდა.

მანუჩ. (ნესტორს) ნუ თუ თქვენ არ იცით, სად არის ის ავაზაკი;

ნესტორი. ღმერთს გეფიცებით დილის აქეთ არ მინახავს.

პეტრუშა. ახ ერთი უნდა ვნახო რომ დავაჯდე ზევიდან და სულ ნაკლული ტიკივით ვაჯანჯღრო.

ნესტორი. ბ. პეტრუშ, თავი დაანებეთ იმ საწყალ პეტრეს, რას ერჩით. ტყუილათ აბრალებთ იმას. იმისი დაწერილი არაფერია. ის ისეთი წყნარი ბიჭია, რომ ჭიას არ გასრესს, ღმერთს გეფიცებით. აი ეხლა როგორც თქვენ კუშეტკაზე ზიხართ და კუშეტკა თქვენ ხმას არ გცემთ, ისე პეტრეს ზედ რომ დააჯდეთ არაფერს გეტყვით. (პეტრე კუშეტკის ქვეშიდან თვალებს უბრიალებს და ანიშნებს, რომ გაჩუმდეს ნესტორი).

პეტრუშა. ძმაო, შენ ძალიან ადვაკატობ იმის მაგივრათ, ეტყობა თავის პავერნიათ დაუყენებიხარ.

ნესტორი. მე სრულ სიმართლეს ვაღვიარებ.

მანუჩ. რას ჰქვია სიმართლე! როგორ, იმან ქვეყანა დათათხოს, ეს არის სიმართლე!

სირან. აი, ისე მართლათ იაროს იმისმა სიყმემ, როგორც ის ჩვენთან მართალია.

XIII

იგინივე და მურზაყანი, შემდეგ ეფროსინე.

მურზაყ. (შემოსვლისთანავე შეჰყვირებს) სად არის ის ვაჟბატონი სად? ცხვირი უნდა მოვჭრა რომ ქვეყანაში თავი ვეღარ გამოყოს.

პეტრუშა. აი გადღეგრძელა ღმერთმა, კნიაზო, ნამდვილია, ახია უფლის მადლმა!

მურზაყ. (ნესტორს) მითხარით ეხლავე სად არის.

ნესტორი. არ ვიცი ბატონო!

მურზაყ. (ხმა მაღლა) მითხარით მეთქი!

ნესტორი. ახირებულია თქვენმა მზემ! არ ვიცი ბატონო, რა გითხრათ!

მურზაყ. არ მეტყვით, მაშ მე მოვნახავ. სულ ლუკმა-ლუკმა ვაქცევ იმ ბუნტოვჩიკს იმას. (ეძებს გაშმაგებული და უცებ კუშეტკის ქვეშ შენიშნავს პეტრეს. თვალების ბრიალით დააშტერდება კუშეტკას).

პეტრუშა. (შიშით მოიკუნტება, კუშეტკაზე თითქმის აღარა სჩანს და წაიბურტყუნებს) კაცო, რატომ ასე სუმაშეჩივით მიყურებს, რა უნდა ჩემგან!

მურზაყ. (ხანჯალზედ ხელდადებული კუშეტკისაკენ გაექანება).

მანუჩ. (მივარდება კუშეტკასთან ჯოხით) აი, შე რაზბონიკო, სად იმალები სად!

პეტრუშა (ყვირის) მიშველეეეთ, მიშველეეეთ!

სირან. კნიაზ! (დაიკივლებს და დონე მიხდილი დაეშვება სკამზედ. პეტრე რა დაინახავს აუცილებელ განსაცდელს აიწევს, კუშეტკა გადმობრუნდება, პეტრუშა იატაკზე დავარდება და კუშეტკა თავზე დაემხობა. პეტრე ელვის სისწრაფით გავარდება კარებში. მანუჩარი და მურზაყანი ყვირილით გამოეკიდებიან პეტრეს. ნესტორი იცინის. შეშინებული პეტრუშა ბოდოს გონს მოვა,

მაგრამ შიშით ყერ განძრეულა. მას გონია თავად მურზაკანი ადგია თავზე და მოკვლას უპირებს. ყვირის: მიშველეეთ, მიშველეეთ! სირანუშა გონს მოვა, ადგება და პეტრუზასთან მიდის საშველათ. უნდა კუშტკა აიღოს და პეტრუზა გაანთავისუფლოს).

პეტრუზა. (ყვირის) კნიაზ, პაჟალეიტე მოი სირანუშ. (უცებ შემოვარდება ეფროსინე და ეტემა ნესტორს).

ეფროსინე. აი, შე სალახანავ, შენა!

ნესტორი. ჩემთან რა გინდაა! აი თქვენი დამწერი სად ბობღავს. (აჩვენებს პეტრუზასზე ეფროსინე მიეკარდება, სირანუშას ხელსა ჭვრავს და გვერდზედ გაუგდებს. დაჯდება კუშტკაზე და ანჯღრევს).

ეფროსინე. ჰე, ჰე, ხომ გიგდე ხელში შე ძღლო შენა!

პეტრუზა. (ყვირის) მიშველეეთ, მიშველეეთ!

სირან. (ეტემა ეფროსინეს და საუბარში სწედება) არა, ვის ახრჩობ, მე უნამუსო შენა!

ეფროსინე. (სირანუშას) უნამუსოცა და გარყვნილიც. (პეტრუზას ზვედან, კუშტკაზე, შაქნება სირანუშას და ეფროსინეს ჭდაობა. ნესტორი სიცილით კვდება. პეტრუზა თითქმის იბნეიტება, თავდები დაწყეტილი აქვს და ყვირის: „მიშველეეთ, მაშველეეთ! კნიაზ, აფსუსია სირანუშას დაქვრივება“. სირანუშა და ეფროსინე თმებს აგლეჯენ ერთმანეთს და ისმის ყვირილი: უნამუსო, კაფუჭებული. პეტრუზა ყვირის: „მიშველეეთ, მიშველეეთ“! ამ ჯურ-ზაკარის დრეს ეშვება ფარდა.

ფ ა რ დ ა.

გოგია.

სნეულთ სპერმინი

ნებადართულია შინაგ, სამინ. არს. სამკ. საბჭ. მიერ № 9796

დ ა ს უ ს ტ ე ბ ს

ი. ნ. ივანოვის ლაბორატორია მოსკოვში.

თუ თქვენ მოქანცული ხართ ფიზიკური ან გონებრივი შრომით, ნერვები აშლილი გაქვთ, ესა თუ ის სნეულება გჭირთ — **გულს ნუ გაიტეხთ!** სპერმინი მოგანიჭებთ სასურველ დახმარებას. არ შეიძლება მას ვუწოდოთ წამალი სხეულის რომელიმე ადგილობრივ ავადმყოფობისა, არა! ეს არის სრულიად უვნებელი რამ — ეს არის სიცოცხლის ესენცია, ეს არის ძალ-ღონის წარმომშობი. იგი ჰმოქმედობს სისხლის შემადგენელობაზე, გადაახალისებს მას და სწმენდავს მას დაძველებულ მავნებელ ნაწილებიდან. როდესაც სნეულებისა თუ მოხუცებულობისაგან დაავადებულ ადგილას მოჰხვდება სპერმინი, რომელიც ჩვენს ჯანსაღობას სდარაჯობს, მაშინვე იწყებს ნაყოფიერ მოქმედებას დაზიანებულ უჯრედების გადასახალისებლად, აწვდის მას ახალს სისხლს, ახალს ძალას, და სნეულების წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებასა ჰმატებს. ექიმებმა დაადასტურეს, რომ სათესლე ძაფების გამონაჟური უებარი წამალია: სიბერით გამოწვეულ უღონობისა, სისხლ ნაკლებობისა (ანემია), მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნერვების აშლისა, დაქანცულობისა და სქესობრივ უილაჯობისა, დამპალ ციებისა და ჩუკუნების შედეგისა, სიგამხდრისა, სიდამბლისა, სქესობრივი სისუსტისა, წყალმანკისა, გულის სნეულებისა, შაქრის ავათმყოფობისა, ქარებისა, ნიკრისის ქარებისა. **ექიმებისა და ავადმყოფთა აზრი სპერმინის თაობაზე უფასოთ ეგზავნებათ.**

მოითხოვეთ ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. ფასი — 1 ფლაკონი — 2 მან. 40 კაპ. ფასდადებით ვგზავნით ღირებულების 1/3 მიღებისას, შეიძლება ფოსტის მარკებითაც. მთავარი საწყობი პროვიზ. ახვლედიანის აფთიაქში, თფილისი, გოლოვინის პრასპექტი № 41, დასაკვეთად მიჰმართეთ მთელი კავკასიისთვის წარმომადგენელს **ი. გ. ახობაძეს**, ტფილისი, გოლოვინის პრასპ. № 41.

მიღებული გვაქვს სამადლობელი წერილები აუარებელ პირთაგან, რომლებიც სრულიათ გამოაჯანმრთელა ჩვენმა სპერმინმა, წერილების ნახვა შეიძლება გ. ახობაძესთან.

დასავლეთ საქართველოს

მევენახეთა საზოგადოება

„ალექსანდროული“

5 ივლისიდან დაიწყო

ღვინით ვაჭრობა

რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და სხვა ღვინოები. **ოლგას ქუჩა. სახლი № 8.**

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ ახვლედიანისა.

ფასი

„ჩვენი გემო“

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი მზადდება ბირველ ხარისხოვან მასალისაგან და ნადუღი წყლით. სასუფთავე ქარხანაში საუტხოოთ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და ბრაქტიკის მქონე მოსეფე. გემო და სუნი მეტათ სასიამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

გთხოვთ პირდაპირ დარეკეთ.

„განათლება“

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт.ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, № 6.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ –1909 წლ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

ორივე წიგნი ერთად მშვენიერი ყდით ეღირება—6 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—2 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

ორი დამპყროლები.

ძალადობა.

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე